



რუსეთის საელჩომ ბულგარეთის დედაქალაქში მდებარე ტაძარს წმინდა ძლევამოსილი გიორგის სკულპტურული გამოსახულება გადასცა



2021 წლის 28 დეკემბერს ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქმა, ბელოგრადჩის ეპისკოპოსმა პოლიკარპემ წმინდა დიდმოწამე ძლევამოსილი გიორგის სკულპტურული გამოსახულება აკურთხა, რომელიც რუსეთის ფედერაციის საელჩომ სოფიის წმინდა გიორგის ეკლესიას უბოძა, რომელიც ცნობილია როგორც წმინდა გიორგის როტონდა.

მეუფე პოლიკარპეს თანამსახურებდნენ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის წარმომადგენელი, არქიმანდრიტი ვასიანე (ზმეევი) და წმინდა ძლევამოსილი გიორგის ეკლესიის წინამძღვარი მღვდელეკონომოსი იოანე კუკოვი.

გამოსახულების კურთხევას დაესწრო ბულგარეთში რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ე.ვ. მიტროფანოვა და რუსეთის საელჩოს თანამშრომლები.

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური

სოფიაში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეტოქიონის

საიტის ინფორმაციით მიხედვით

წყარო: <https://mospat.ru/ge/news/88794/>